ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 14 იანვრის ბიუროს რიგგარეშე სხდომის

დღის წესრიგი

1.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 იანვრის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

მომხს: ვარლამ ჭიპაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის

შემსრულებელი დაკით კიკნაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2025 წლის 14 იანვრის რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი №N1

დ. ხარაგაული

9 აპრილის ქ. #15

14 იანვარი 2025 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა - დავით კიკნაძე საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

ამირან ოქრომჭედლიძე საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,

პაატა გოგოლაძე საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,

პავლე კიკალიშვილი საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე.

შმაგი ხიჯაკაძე ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

ოთარი ლურსმანაშვილი იურიდიული ,სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე.

მარინე ხვედელიძე განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე,

შალვა ლურსმანაშვილი ფრაქცია ,, ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" თავმჯდომარე,

მერიის წარმომადგენლები:

ვარლამ ჭიპაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე,

ნინო მაღლაკელიძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის განყოფილების უფროსი,

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

ა. ნიქაბაძე ა.ა.ი.პ ,,მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი"-ს ჟურნალისტი,

ს. გლუნჩაძე ოპერატორი

საკრებულოს აპარატი:

ლ. კალანდაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი,

მ. შარიქაძე შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარე დავით კიკნაძისინფორმაცია, რომელმაც ბიუროს წევრებს გააცნო ბიუროს სხდომის დღის წესრიგი და საკითხთა ნუსხა,

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 იანვრის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

მომხს: დავით კიკნაძე

საკითხთა ნუსხა

1.„ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 17 დეკემბრის N25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ვარლამ ჭიპაშვილი

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგისა და საკითხთა ნუსხის დამტკიცების თაობაზე

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 8 წევრი:

მომხრე 8

წინააღმდეგი

დღის წესრიგი და საკითხთა ნუსხა დამტკიცებული იქნა (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის ვარლამ ჭიპაშვილის ინფორმაცია საკითხზე „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 17 დეკემბრის N25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

აზრი გამოთქვეს:

შ, ლურსმანაშვილი ფრაქცია ,, ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარემ, რომელმაც აღნიშნა, რომ მის მიერ რამდენჯერმე იქნა დაყენებული საკითხი მერიის წინაშე დაბაში შესასვლელი უბნების რეაბილიტაციის თაობაზე, მაგრამ შედეგი არ ჩანს მაინტერესებს იგეგმება თუ არა წელს მაინც,

მ, ხვედელიძემ განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ როგორც იმ უბნის წარმომადგენელს მაინტერესებს წელს გაკეთდება თუ არა ჯაფაროულისა და ბაზალეთის დამაკავშირებელი გზის მიმდინარე პროექტის დასრულება

ვ, ჭიპაშვილმა როგორც ვიცი მიდის მუშაობა ამ საკითხებზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2025 წლის 15 იანვრის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 8 წევრი:

მომხრე 8

წინააღმდეგი .

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2025 წლის 15 იანვრის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში.

2. საკითხის განხილვა დაევალა საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო და ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიებს.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1.დამტკიცდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 იანვრის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი

მომხს: დავით კიკნაძე

ამით ბიუროს სხდომის მიერ განსახილველი საკითხი ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე **დავით კიკნაძე**

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 იანვრის რიგგარეშე სხდომის

დღის წესრიგი

1. „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის **2025** წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2024** წლის 17 დეკემბრის **N25** დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ვარლამ ჭიპაშვილი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის

შემსრულებელი დაკით კიკნაძე